



ალექსანდრე კვიციანი: „მთავარია, უნივერსიტეტში მომუშავე პროფესორას გაუჩნდეს ბრძოლვადიანი მუშაობის პერსპექტივა“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2013 მნიშვნელოვანი წელია – არა მხოლოდ იმიტომ, რომ უნივერსიტეტი 95 წლის იუბილეს აღნიშნავს, არამედ იმ გამოწვევების გამოც, რომლის წინაშეც დღეს უნივერსიტეტი დგას. რა სახელებია უნივერსიტეტში 2013 წელს? როგორ უყურებს განათლების რეფორმის პერსპექტივას? რაში მდგომარეობს თსუ კონცეფციის არსი? რატომ გრძელდება ხმაური მედიასი თსუ-ს ირგვლივ? რა არის უახლოესი პერიოდის მთავარი გამოწვევა? ამ კითხვებზე „უნივერსიტეტი“ დღეს თსუ რექტორი ალექსანდრე კვიციანი პასუხობს:

– რას გამოყოფთ უნივერსიტეტის უახლოესი გეგმებიდან?
– რამდენიმე დიდ პროექტში ვიღებთ მონაწილეობას. ერთ პროექტში მუშაობა უკვე დასრულდა. განაცხადი შევიტანეთ უმაღლესი სამაგისტრო სკოლის შექმნასთან დაკავშირებით. იმედი გვაქვს, რომ ამ საკითხში ფინანსურ დახმარებას ღია საზოგადოების ინსტიტუტი გაგვიწევს.
გვინდა შევქმნათ ერთი ფანჯრის პრინციპი, მაკოორდინირებელი მექანიზმი, რომელიც დაეხმარება სტუდენტს შეარჩიოს ან დააკომპლექტოს თავისი სამაგისტრო სწავლების პერიოდი უნივერსიტეტში. ჩვენს სურვილია, რომ უფრო მეტი ინტეგრაციის მიხედვით და ფაქულტეტთაშორის პროგრამები იყოს, რომელიც იქნება ორიენტირებული კვლევაზე. ეს არ ნიშნავს იმას, რომ თვითონ სკოლა გა-

ნახორციელებს სამაგისტრო პროგრამებს და სწავლების პროცესს, მაგრამ იგი იქნება მხარდამჭერი დამხმარე მექანიზმი, ჯერ თვითმოდერნიზაციისთვის და, შემდეგ, თუ იქნება საშუალება, საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვებაში. ეს სკოლა დაეხმარება სტუდენტს უცხოელ პარტნიორებთან დაკავშირებაშიც. არაერთი სამაგისტრო პროგრამა არსებობს უნივერსიტეტში და საუბარია მათ გაუმჯობესებაზე, ინტეგრირებაზე, კოორდინირებულ პროცესზე, რომლის უფექტურობაც გამოცდილია დასავლეთის ცნობილ უნივერსიტეტებში. ჩვენ ვნახეთ ასეთი სკოლა ნიუ ჯერსის შტატში, რადგერსის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც დაახლოებით ჩვენი უნივერსიტეტის მოცულობისაა. იქ 60 ათასი სტუდენტი სწავლობს. თუმცა, ამ სისტემით ძალიან მარტივად ახერხებენ პროცესის მართვას.

ასევე აღსანიშნავია, რომ რამდენიმე პარტნიორთან ერთად ვმუშაობთ მილენიუმის პროგრამის განხორციელებაში, რომლის წარდგენის ბოლო ვადაა 22 მარტი. ეს გრანტი გაიცემა ქართულ და ამერიკულ პარტნიორობაზე, რომელიც ითვალისწინებს თანამედროვე პროგრამების შექმნას მეცნიერებაში, ტექნოლოგიებში, ელექტროინჟინერიაში და ბევრ მიმართულებაში, რომელიც დაეხმარება ქვეყანას გამართოს თავისი პოტენციალი და გახადოს იგი კონკურენტუნარიანი. ჩვენ ვართ სამი კონსორციუმის წევრი – ერთში საქართველოს მხრიდან შედის თსუ, ილიას და ტექნიკური უნივერსიტეტები, ხოლო ამერიკიდან მიჩიგანის და მისისის უნივერსიტეტები. მეორეში – გაერთიანებულია თსუ, ქუთაისის უნივერსიტეტი, ობერნის და ჩრდილო კაროლინას უნივერსიტეტი; ხოლო მესამეში გაერთიანებულია თსუ და სან-

ბაზრძეშვილი მ-2 მმ.



ელექტრონული რესურსები – თსუ პროფესორებისა და სტუდენტებისთვის



იმისათვის, რომ თსუ სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის ხელმისაწვდომი იყოს მსოფლიოს წამყვანი კვლევითი ცენტრების სამეცნიერო მიღწევები, თსუ-ს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ინიციატივით ყოველწლიურად ხდება ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზაზე წვდომის უზრუნველყოფა.

ბაზრძეშვილი მ-3 მმ.

უნივერსიტეტის დესპანები

უნივერსიტეტებში საკუთარი გამოცდილებიდან იყვან, რომ მომავალი აბიგურეტიებისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ წარმოდგენის შესაქმნელად ყველაზე კარგი საშუალება მათთან უშუალო შეხვედრებია. საამისოდ სტუდენტების მსურველებს „ღია კარის“ დღეების ღონისძიებას არ სჭირდება. უკვე შექმნილია „თსუ-საბავშვო უნივერსიტეტის“ წარმომადგენლები თბილისის და რეგიონის საშუალო სკოლებში და რეგიონის საშუალო სკოლებში მოსწავლეებს ხელეხმარება და სახელმწიფო უნივერსიტეტის, მის ბაზაზე არსებული „თსუ – საბავშვო უნივერსიტეტის“ შესახებ ესაუბრებიან.


ბაზრძეშვილი მ-3 მმ.

თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ბაზაზე შექმნილი ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი (ISET Policy Institute) ერთ-ერთი პირველი კვლევითი ორგანიზაციაა საქართველოში, რომელიც დამოუკიდებელ ეკონომიკურ კვლევებს მეცნიერული მეთოდების გამოყენებით ახორციელებს. კვლევითი ინსტიტუტი ფუნქციონირებს თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლაში (ISET), რომელიც, თავის მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სამაგისტრო პროგრამაა სამხრეთ კავკასიაში. იმის გამო, რომ კვლევითი ცენტრს ხელი მიუწვდება ISET-ის აკადემიურ ცოდნასა და გამოცდილებაზე, ორგანიზაცია გამორჩეულია რეგიონში კვლევების მაღალი ხარისხითა და მიუკერძოებლობით.

ბაზრძეშვილი მ-4 მმ.

თსუ – ლიდერი სამეცნიერო ცენტრი საქართველოში



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2012 წლის კონკურსის შედეგები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კვლავ არ თმობს ლიდერის პოზიციებს საქართველოს კვლევითი ცენტრების შორის. 2012 წლის სამეცნიერო კონკურსების შედეგებზე, რომლის ნაწილიც ამ დღეებში გახდა ცნობილი, ეს ფაქტი კიდევ ერთხელ დაადასტურა. სტატისტიკა მოწმობს, რომ თსუ-მ გამარჯვებული სამეცნიერო პროექტების მიხედვით ყველა უნივერსიტეტს მნიშვნელოვნად გაუსწრო. ეს გამარჯვება თსუ მეცნიერებსა და სტუდენტებს სამეცნიერო კვლევებში ჩართულობის მეტ საშუალებას უზენს და უნივერსიტეტში სამეცნიერო მუშაობის მაღალ სტანდარტზე მოწმობს.

კონკურსების შედეგები ასე გამოიყურება: შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2012 წლის კონკურსის შედეგები: სულ დაფინანსდა 38 პროექტი, აქედან თბილისის სახელმწიფო

ბაზრძეშვილი მ-3 მმ.

თსუ სტუდენტები – საერთაშორისო იმიტირებულ სასამართლო პროცესში

თსუ სტუდენტებმა ტრალინისამებრ ნაუსას გაიმარჯვეს ფილიპ ჯესაფის სახელობის საერთაშორისო საჯარო სამართლის იმიტირებულ სასამართლო პროცესის ეროვნულ რაუნდში

2013 წლის მარტის ბოლოს ვაშინგტონში თსუ სტუდენტთა გუნდი საქართველოს სახელს საერთაშორისო შეჯიბრზე დაიცავს. საუბარია ფილიპ ჯესაფის სახელობის საერთაშორისო საჯარო სამართლის იმიტირებულ სასამართლო პროცესზე, რომელიც გაერთიანებული სახელმწიფოს საერთაშორისო სასამართლოს სიმულაციას წარმოადგენს. შეჯიბრი მსოფლიოს მასშტაბით 50 წელზე მეტია გარდება და მასში 120 ქვეყნის 500-ზე მეტი უნივერსიტეტის გუნდი მონაწილეობს. თსუ გუნდმა შეჯიბრში მონაწილეობის უფლება ეროვნულ რაუნდში გამარჯვების შემდეგ მოიპოვა. ფინალი 2013 წლის თებერვალში საქართველოს უზენაეს სასამართლოში შედგა და მასში ერთმანეთს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თავისუფალი უნივერსიტეტის გუნდები შეხვდნენ.



იმიტირებული პროცესის მოსამართლეებმა არგუმენტების, დასკვნებისა და მსჯელობის საფუძველზე გამარჯვებულად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი დაას-

ახელეს. ოთხმოც ქულიანი უპირატესობის მოპოვებასთან ერთად, თსუ გუნდმა ასევე საუკეთესო ინდივიდუალური და წერიითი მოხსენებების ნომინაციებში გაიმარჯვა. შე-

ბაზრძეშვილი მ-4 მმ.

ალექსანდრე კვიციანი: „მთავარია, უნივერსიტეტში მომუშავე პროფესორას გაუჩნდეს ბროკლივალის მუშაობის პერსპექტივა“

პირველი გვერდი



დივოს უნივერსიტეტი, რომელიც ცნობილია თავისი გეგმიური გრანტებით, კვლევის შედეგების გამოყენებით ბიზნესის და ზოგადად გამოყენებითი კუთხით.

ეს არის ორი დიდი პროექტი, რაც ხდება ამ წუთში უნივერსიტეტში და დიდი იმედი მაქვს, რომ ორივე შემთხვევაში გვექნება წარმატებები.

ეს პროექტები დაგვეხმარება სასურველი მოდელის დანერგვაში – რომ თსუ იყოს არა მხოლოდ სასწავლო, არამედ რეალურად კვლევითი დაწესებულება. ამ მიმართულებით უკვე პილოტული ნაბიჯი იყო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ინტეგრაცია უნივერსიტეტთან. შემდგომი ნაბიჯი იქნება ამ ინსტიტუტების პოტენციალის მაქსიმალურად ჩართვა საუნივერსიტეტო პროცესში.

კვლევის გარშემო უნდა გაერთიანდეს სწავლება, სასურველია, რომ ლექტორი და პროფესორი ამასთანავე იყოს მეცნიერი, მეკლავარი, რომელიც არის პირველწყარო იმ კვლევის, რომელსაც თავად ახორციელებს.

გარდა ამისა, მე მქონდა აქტიური შეხვედრები განათლების და მეცნიერების რეფორმების სახელმწიფო კომისიასთან (ე.წ. დედაის კომისია). მათი მოსაზრებების დახლოებით 80-90 პროცენტი ჩემთვის მისაღებია. თუმცა, განსხვავებული მოსაზრება მაქვს მისი განხორციელების მეთოდთან დაკავშირებით – პრაქტიკულად როგორ შეიძლება იმის გაკეთება, რაც თეორიულად არსებობს. ვთვლი, რომ ქვეყანა არ არის მზად შემთავაზებული მოდელის დასაყრდენად. ეს არის უნივერსიტეტების, მეცნიერების მართვის აპრობირებული, წარმატებული მოდელი, რომელიც ამაჟამად ამერიკის უნივერსიტეტებში მოქმედებს. ევროპის ბევრი ქვეყანაც ცდილობს ამ მოდელის მორგებას. იმისათვის, რომ ეს მოდელი წარმატებული იყოს და კარგად მოერგოს ქართულ რეალობას, უნდა შეიქმნას რეალისტური სამოქმედო გეგმა. შეიძლება აბსოლუტურად ზუსტი არაა, მაგრამ მსგავსი კონცეფცია უნივერსიტეტს ჰქონდა, მაგრამ დღეს ჩვენ ვთქვით, რომ გადაწყვეტილებას არ მივიღებთ, ვიდრე არ იქნება უფრო მეტი სიყვარული განათლების რეფორმის პერსპექტივასთან დაკავშირებით.

როგორია უნივერსიტეტის კონცეფციის არსი და რა მსგავსებაა განათლებისა და მეცნიერების რეფორმების სახელმწიფო კომისიის მიერ შემოთავაზებულ მოდელთან?

ჩვენ გვექნება დღე დაგვეჩვენება გენუარის ტაპის სისგმა არა იმ ნორმით, რომელიც წარმოდგენილია დღეისა და დღეისა, არამედ ჩვენ, ქართული რეალობის მორგებული დოკუმენტი გაგვეკეთებინა. მაგალითად, მესამედ არჩეული პროფესორის კონტრაქტი ყოფილიყო დია თარიღით. ანუ, მას შეძლებდა უნივერსიტეტში ემუშავა 65 წლამდე, ეს არის საპენსიო ასაკი და იგი განსაზღვრულია კანონით. თუმცა, თავისთავად ცხადია, ჩვენ ამით არ ვზღუდავთ თანამშრომელს, და არ ვამბობთ რომ იგი მაინცდამაინც 65 წლის ასაკში უნდა წავიდეს პენსიაზე. ჩვენს შემთხვევაში, როდესაც პროფესორი მიაღწევს 65 წელს, მას შეიძლება მიენიჭოს ემერიტუსის წოდება, რომელიც ავტომატურად ეკუთვნის და გავიდა პენსიაში, ან დარჩეს უნივერსიტეტში, ვაგვრძელოს მუშაობა და მიიღოს კონკურსში მონაწილეობა ექსპერიმენტული კონტრაქტით.

გენუარის სისგმა და თქვენს მიერ აღნიშნული დია კონტრაქტი გულისხმობს პროფესორის თავისუფლების გარანტიებს, თუმცა, არსებობს კითხვები პროფესორის დანიშნვის „უვალობასთან“ დაკავშირებითაც. ხომ არ შეაფერხებს ეს განვითარების პროცესს?

უვალობა დანიშნა არ ნიშნავს იმას, რომ პროფესორმა მიიღო კონტრაქტი და ამით დასრულდა ყველაფერი. თუ ადამიანს სამჯერ მიენიჭა პროფესორის სტატუსი, მას აღარ მოუწევს კონკურსის გაგება ყოველ ექვს წელიწადში, თუმცა, თავისთავად, იარსებებს შკალა, რომელიც შეფასდება მისი მუშაობა ყოველ ორ

წელიწადში ერთხელ. ეს შეფასება გარკვეულ, თუ რამდენად მიჰყვება პროფესორი იმ გზას, რომელიც აირჩია დია თარიღით კონტრაქტის მიღების დროს.

გენუარი ცოცხა პრინციპს გულისხმობს, ჩვენს ვარიანტს არ ჰგავს. თუმცა იქაც არის გრძელვადიანი მუშაობის პერსპექტივა. ჩვენი აზრით, ეს ერთმანეთს ხელს არ უშლის. შიშები, რომელიც არის დღეს საზოგადოებაში, რომ ვიღაც მიიღებს, ვიღაც კი დაკარგავს აკადემიურ თანამდებობას, უნდა გაქარწყვდეს. ამიგომ გვაქვს რამდენიმე ვარიანტი: ერთ-ერთი არის კონტრაქტის დია თარიღი, რაც თავისუფლების მეტ გარანტიებს შეუქმნის პროფესორებს; ასევე განსახორციელებელია სწორად გამართული და დაგეგმილი ემერიტუსის პროგრამა, რომლის მიხედვითაც ადამიანს, დამსახურებიდან გამომდინარე, შეეძლება გასული პენსიაზე უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული დირსული ანაზღაურებით. ამ შემთხვევაში გენუარის შემთხვევა არ არის ცუდი, სადაც უფრო მეტი კონტრაქტითაა კვლევაზე, ლექციების კითხვის გარდა სტუდენტებთან მუშაობაზე. მე ვესაუბრე კომისიას და ასეთი იდეაც შევთავაზე, რომ ყოფილიყო საგარანტო პრინციპი. მაგალითად ყველა გენუარულ პროფესორს, ყოველ წელს ექნებოდა გარკვეული თანხა კვლევისთვის – თუ სურს ლაბორატორიას გააკეთებს, თუ უნდა ასისტენტს აიყვანს და ა.შ. იმ პროფესორს, რომელსაც ჩვენი კონცეფციით ექნება უკვე კონტრაქტი და არ ექნება სამსახურიდან გაშვების შიში, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს გენუარის გამოცხადებულ კონკურსშიც, რომლის კომისიაც იქნება საერთაშორისო ღონის. მას არავინ მზღდავს. მოკლედ, რაც შეიძლება ბევრი დამცავი მექანიზმი უნდა შევიმუშაოთ, რომ ჯერ ერთი, მოვახერხოთ და მოვიზიდოთ ახალგაზრდა კვალიფიციური კადრები, გრძელვადიანი დასაქმების პერსპექტივით და მეორე მხრივ, იმ ხალხს, რომელიც მრავალი წელია უნივერსიტეტში მუშაობს, ჰქონდეს შესაძლებლობა ღირსეულად იმუშაოს, ჰქონდეს გარანტირებული სამსახური უნივერსიტეტში ან დაასრულოს უნივერსიტეტში მუშაობა და ეს დაუფასდეს ფინანსურად. ეს იყო ჩემი შეთავაზება კომისიისთვის, რომ გამოირიცხოს ცუდი ფორმის კონკურენცია და კარგი იდეა არ გაუშვდეს ობსოლუტის გზით.

რა ვიღებთა შესაძლებელი ამ პროცესის დაწყება?

ეს ვერ დასრულდება ერთ ან ორ წელიწადში. დღეს ძალიან რთული იქნება ამის გაკეთება, მაგრამ თუ არ დავიწყებთ, მაშინ ვერაფრის გაკეთებას ვერ შევძლებთ. ამიგომ, უნდა მოვინახოთ მაინც. ჩვენ შეგვიძლია დავიწყეთ, მაგრამ შედეგს ალბათ მივიღებთ ათ წელიწადში.

2013 წლის გაზაფხულის სემესტრი უნივერსიტეტში სულ ცოცხა წინსვლა იყო. პირველივე დღეებში ამას მოჰყვა გეგმიური, ე.წ. ბაზების პრობლემები, რამაც ბიჯი მისცა გარკვეულ პროცესს. ამასთან, მედია პერპეტუალად უბრუნდება უნივერსიტეტის თემას და კვლავ ვეახსენებს სტუდენტებს და უნივერსიტეტის ყოფილ პროფესორთა ნაწილის პრეტენზიებს. რას უკავშირებთ მედიას და საზოგადოების ამ ნაწილის აქტიურობას? რას უკავშირებთ მათ?

სტუდენტთა რეგისტრაციის პროგრამის უფრო, და არა ბაზების, გარკვეული პრობლემები კვლავ რჩება უნივერსიტეტში. თუმცა, სრულ პასუხისმგებლობით მინდა განვიხილო, რომ ამ სემესტრში, წინა ორ სემესტრთან შედარებით, ბევრად უკეთესი მდგომარეობაა. ახლა უკეთ გამოჩნდა ის პრობლემები, რომელიც წინა პლანზე მყოფ უფრო დიდ პრობლემებს მიღმა არ ჩანდა – მაგალითად ერთ ფაკულტეტზე გამოჩნდა ადამიანური ფაქტორი, მოგან არასწორად იყო აგებული წინაპირობების პრინციპი და ა.შ. ახლა ბევრად უფრო გამარტივებულია პრობლემის გამოსწორება. საახლავა ის, რომ პრობლემების გადაწყვეტაში ჩვენ თავად სტუდენტები ჩაერთოთ – შეიქმნა ჯგუფი, რომელიც ამ საკითხებს სწავლობს.

შესწავლის დროს გამოიკვეთა, რომ პრობლემების 90 პროცენტი არის დაკავშირებული რეგისტრაციასთან, დისციპლინასთან – იმ ადამიანების მხრიდანაც, ვინც გეგმიურ მხარეს აგვარებს და ნაწილობრივ, თავად სტუდენტების მხრიდანაც.

მაგალითად, წელს სტუდენტებს ჰქონდათ აკადემიურ-ადმინისტრაციული რეგისტრაციის შესაძლებლობა 25 იანვრიდან 25 თებერვლამდე – ანუ ერთი თვის განმავლობაში. სამჯერ მოგვიწია ამ ვადის გადაწევა. მესმის, რომ დღეს ბევრს არ აქვს სწავლის საფასურის გადახდის საშუალება, მაგრამ გათვლები ვარ იმით, რომ ბევრმა ფულის გადახდადღად

მოგვემართა არა თუნდაც ბოლო დღეს, არამედ რეგისტრაციის დასრულების შემდეგ.

წელს ჩვენ შევეცადეთ, რომ გვექნოდა ორდინიანი შუალედი აკადემიურ და ადმინისტრაციულ რეგისტრაციას შორის, ეს ორი დღე უნდა გამოყენებულიყო ყველა იმ პრობლემის დასარეგულირებლად, როგორც არის აუდიტორია, ცხრილი, ლექტორები და ა.შ. მართალია, წინა წლებთან შედარებით უკეთ მოგვარდა ეს პროცესები, მაგრამ მაინც აღმოჩნდა, რომ რამდენიმე ასეული სტუდენტი ამ დედაიანს არ ცნობს. მე დიდი იმედი მაქვს, რომ სტუდენტები შემდგომშიც იაქტიურებიან ამ მიმართულებით. შემდეგი გეგმა იქნება სექტემბრის ბაზები და იმედი მაქვს, რომ პრობლემა გამოსწორდება. მეორე მხრივ, ძნელი წარმოსადგენია 100 პროცენტით გამოირიცხო შეცდომები. ვფიქრობთ იმაზეც, რომ სხვადასხვა ფაკულტეტის ბაზა სხვადასხვა დროს გაიხსნას, რომ 22 ათას სტუდენტს ერთდროულად არ მოუხდეს შესვლა.

ეს არის პრობლემა, რომელიც არის მოგვარებადი.

რაც შეეხება მედიის აქტიურობას – იგი ყოველთვის უკავშირდება სწავლის დაწყების თარიღს. ამას გარკვეული სტუდენტებიც უწყობენ ხელს. თუმცა, მოგს შეიძლება აერია გრაფიკი, მაგრამ ფაქტია, რომ სტუდენტთა ნაწილი ერთი დღით ადრე აცხადებდა, რომ ბაზები არ მუშაობდა. ამ პრობლემის აცივება დაიწყო 24 საათით ადრე, ვიდრე ბაზები გაიხსნებოდა. მე გამოვირდა ის, რომ მედია მზად იყო აუტაცებინა ეს თემა, რომელიც, აღმოჩნდა, რომ არც ისე დიდი მასშტაბის ყოფილა, როგორც თავად ხატავდნენ. იყო უკმაყოფილება, მაგრამ არა იმ მასშტაბის, როგორც ამის წარმოჩენას მედიის ნაწილი ცდილობდა.

დედაიანთა უნივერსიტეტის მთავარ მიღწევად რა მთავარ გამოწვევად?

ჩემი აზრით, მთავარია, უნივერსიტეტში მომუშავე პროფესორს გაუჩნდეს გრძელვადიანი მუშაობის პერსპექტივა. მეც და აკადემიური საბჭოც სწორედ ამაზე ვმუშაობთ. ამ მიმართულებით უკვე გაღიადა ნაბიჯები – საკონტრაქტო ვადა 3-დან 6 წლამდე და 2-დან 4 წლამდე გაიზარდა და ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს. ამასთან, უნდა მოგვარდეს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის პრობლემა – ეს არის რემონტი, გათბობა, კანალიზაცია, რის შემდეგაც ვფიქრობთ აუდიტორიების თუ გარე ფსახლების ვიზუალურ ცვლილებაზე. ბოლო პერიოდის მიღწევების ჩამოთვლა ძალიან ძნელია. არის რამდენიმე კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც აქტიურად ჩართული უნივერსიტეტში მეცნიერების განვითარებაში და უამრავი სტუდენტი წაიყვანა სამუშაოდ და ეს უნივერსიტეტისთვის დიდი შენაძენია.

რაც შეეხება პრობლემებიკას. ჩემი აზრით, საკმაოდ რთულია რეგენტთა საბჭოსთან ურთიერთობა, რომელიც ამ ხელისუფლებამ მემკვიდრეობით მიიღო ძველი ხელისუფლებისგან. ეს არის სუფთა მენეჯერული პრობლემა. თავიდან რეგენტთა საბჭოს უნქეია უნდა ყოფილიყო მხოლოდ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება, შემდეგ ამ საბჭოს უნქეიება გამოვარდა და კანონით მას მიენიჭა ბევრი სხვა უფლება – დაწყებული შესყიდვების უფლების გაცემით. წარმოდგენილია საბჭო, რომლის წევრებიც არიან მინისტრები, ისეთი სისხრილი იკრიბებოლეს, როგორი საჭიროებაც არსებობს უნივერსიტეტში. არსებულმა მიღწევამ ვერ იმუშავა ვერც ადრე, ვერც ახლა მუშაობს და ვერც მომავალში იმუშავებს. ეს საბჭო მზღდავს უნივერსიტეტის ფინანსურ ავტონომიას, მისი მოქმედების არეალს. მოგვეხსენებათ, უნივერსიტეტის შემოსავლების 92 პროცენტი არის სტუდენტების სწავლის საფასურადან შემოსული თანხა. ჩვენ მივმართეთ განათლების სამინისტროს და ვთქვით, რომ მზადდება განათლების შესახებ კანონი და ამ მუხლის ვადახდვაც იგეგმება. რამდენიმე უნივერსიტეტი ვითხოვთ ამ საბჭოს ჩანაცვლებას ფინანსური აუდიტით: თუნდაც ყოველი წლის ბოლოს სახელმწიფოს მიერ შერჩეულმა ფორმებმა ჩაატარონ აუდიტი, ისე როგორც ახორციელებს რამდენიმე სახელმწიფო კორპორაცია.

ასევე მთლიანად იქნება მოსაგვარებელი მეცნიერების დაფინანსების პროგრამა. აქც არის საუბარი ცვლილებაზე და იმედი გვაქვს, რომ აქც იქნება მიზანმიმართული პროექტები, რომლებიც დაგვეხმარება გავაძლიეროთ დოქტორანტურა უნივერსიტეტებში. ჩემი აზრით, დოქტორანტურის გაძლიერება მოგვექმნება მაგისტრატურის ხარისხის ამაღლების საშუალებასაც, რადგან მაგისტრანტებს პერსპექტივა გაუჩნდებათ, რომ მოიპოვონ დოქტორის ხარისხი. ამასთან, ვთვლი, რომ ძალიან ბევრი რამეა გასაკეთებელი. ჩვენ დავიწყეთ დიდი რაოდენობის კომისიასთან და ჯერჯერობით ერთიანი პრინციპებით მივდივართ.

სიასლეები

20 მარტს თსუ-ში ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციამ პროექტების ციკლი: „ELSA შეუზღუდავი უფლებებისა და შესაძლებლობებისთვის“ დაიწყო. პრეზენტაციას საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი და შშმ პირთა უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.

19 მარტს თსუ-ში პირველი სტუდენტური კონფერენცია სოციალურ მუშაობაში „სოციალური მუშაობა და სოციალური გამოწვევები 21-ე საუკუნის საქართველოში“ გაიმართა. ღონისძიება სოციალურ მუშაკთა მსოფლიო დღეს მიეძღვნა. ღონისძიების ორგანიზატორი თსუ, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი გახლდნენ.

15 მარტს თსუ ბიბლიოთეკასთან არსებულ კინოკლუბში პირველი ქართული მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ფილმის ჩვენება გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში მოეწყო ასევე თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კინო-გელე ხელოვნების მიმართულების სტუდენტების 2010 წლის პროექტის – „აკაკის მოგზაურობის კვალდაკვალ“ პრეზენტაცია.

19 მარტს თსუ-ში ელდარ შენგელიას საღამო გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში მოეწყო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო რეჟისორის ფილმებიდან ამოღებული ფოტოკადრები. საღამოს ორგანიზატორი თსუ ბიბლიოთეკასთან არსებული კინო-კლუბი, საქართველოს ქალთა საბჭო და საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი იყვნენ.

14 მარტს თსუ ბიბლიოთეკასთან არსებულმა „კლუბმა 93-ე აუდიტორია“ ქართული პოეტის გარიელ ხარხელაურის საღამო გამართა. ცნობილმა ქართველმა ლიტერატორებმა და საზოგადო მოღვაწეებმა ისაუბრეს გარიელ ხარხელაურის შემოქმედებაზე, უნივერსიტეტის სტუდენტებმა წაიკითხეს პოეტის ლექსები, შესრულდა გარიელ ხარხელაურის ლექსებზე დაწერილი სიმღერები.

14 მარტს თსუ „ახალგაზრდა დიპლომატთა კლუბის“ ინიციატივით უნივერსიტეტს საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ალექსი პეტრიაშვილი ეწვია. ალექსი პეტრიაშვილმა საქართველოს ნაგონი ინტეგრაციაზე, ევროკავშირთან ურთიერთობის პერსპექტივასა და ქვეყანაში მიმდინარე საშინაო და საგარეო ვითარებაზე ისაუბრა.

14 მარტს თსუ-სა და ბონისა და ერევნის უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის შემორანდუმი გაფორმდა. მის თანახმად, თსუ-სა და ბონის უნივერსიტეტის მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტს და ერევნის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტს შორის სამშხრდო თანამშრომლობა იგეგმება, რაც თეორიულ ფიზიკაში ერთობლივი სადოქტორო პროგრამების შემუშავებას გულისხმობს.

13 მარტს თსუ-ში საქართველოს საუნევერსიტეტო ბიბლიოთეკების ხელმძღვანელთა აშშ-ში ვიზიტის ანგარიშ-პრეზენტაცია გაიმართა. პროექტი აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ხელშეწყობით 2013 წლის იანვარში განხორციელდა.

12 მარტს თსუ-მ და კომპარატივისგული ლიტერატურის ქართულმა ასოციაციამ (GCLA) გრიგოლ კიკნაძისა და გივი გაჩეჩილაძის სახელობის პრემიებით 2012 წლის ნომინანტები დააჯილდოვა.

12 მარტს თსუ ბიბლიოთეკაში უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერების მიმართულების სტუდენტებმა საჯარო განხილვა გამართეს. განხილვაზე 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილე ძირითადი პოლიტიკური ორგანიზაციების პროგრამული დებულებები იქნა წარმოდგენილი. აღნიშნული ღონისძიება 1919 წლის 12 მარტის მოვლენებს მიეძღვნა.

ოსუ – ლიდარი სამეცნიერო ცენტრი საქართველოში

პირველი გვერდი

უნივერსიტეტი – 18 პროექტი, საქართველოს გეგმიური უნივერსიტეტი – 7 პროექტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი – 4 პროექტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი – 2 პროექტი, დანარჩენი 7 გრანტიდან თითო-თითო აიღო სხვა დაწესებულებებმა.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2012 წლის კონკურსის შედეგები: სულ დაფინანსდა 94 პროექტი, აქედან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – 42 (39-ში წამყვანი, 3-ში თანამონაწილე) პროექტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი – 14 პროექტი, საქართველოს გეგმიური უნივერსიტეტი – 11 პროექტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი – 7

პროექტი, ივანე ბერიგაშვილის ექსპერიმენტური ბიომედიცინის ცენტრი – 4 პროექტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი – 3 პროექტი, ქუთაისის წერეთელის უნივერსიტეტი – 2 პროექტი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი – 2 პროექტი, ეროვნული მუზეუმი – 2 პროექტი, დანარჩენი 10-დან თითო-თითო აიღო სხვა დაწესებულებებმა.


უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსში სულ დაფინანსდა 23 პროექტი, აქედან თსუ – 11 პროექტი, ილია – 5 პროექტი, დანარჩენი 7 – დან თითო-თითო აიღო სხვა დაწესებულებებმა.

უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრისა და სსიპ – საქართველოს ეროვნული

სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ ერთობლივ კონკურსში სულ დაფინანსდა 11 პროექტი, აქედან თსუ – 5 პროექტი, აგრარული 2 პროექტი, სიციხის შემსწავლელი მეცნიერებების ს/კ ცენტრი 2 პროექტი, ილია და სამედიცინო უნივერსიტეტი – 1 პროექტი.

2012 წელს გამოცხადებული საგრანტო კონკურსის – პრემიების სამეცნიერო გრანტები ახალგაზრდა მეცნიერთათვის სულ დაფინანსებული 77 პროექტიდან, თსუ-ს ეკუთვნის 30 პროექტი.

„ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო გრანტების“ კონკურსში საგრანტო დაფინანსება მიიღო 33-მა პროექტმა, აქედან თსუ-დან გამარჯვებული გახლავთ 17 პროექტი.



უნივერსიტეტის ღესიანობა

პირველი გვერდი

„კომპიუტერული პროგრამირება მინდა ვისწავლო, ამავე დროს მეორად საგნად ხატურა ავირიო, რამდენად მექნება თქვეთან ამგვარი საშუალება?“ – ასეთი კითხვა სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებისადმი ფასანაურის საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლეს ნათია ბექაურს გაუჩნდა.

მხოლოდ ბოლო სამი თვის განმავლობაში თსუ პროფესორებმა საბავშვო უნივერსიტეტის კოორდინატორის ხელმძღვანელობით, ფასანაურის გარდა ყაზბეგის, ხაშურის, ახალციხის, საგარეჯოს და ამბროლაურის საშუალო სკოლებში მოიარეს და იქაურ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეხვდნენ.

„ამ შეხვედრებზე ჩვენ ბავშვებისთვის პირველ რიგში იმის განმარტებას ვცდილობთ, რომ ყველაზე კარგი ინვესტიცია მათთვის ცოდნაა. შეიძლება ითქვას, რომ მათი მომავალი მათ ხელშია.“ – აცხადებს თსუ რექტორის მრჩეველი, „თსუ-საბავშვო უნივერსიტეტის“ კოორდინატორი მარინა ლომოური.

მარინა ლომოურის თქმით, რა თქმა უნდა, პირველ რიგში თავად სკოლა უნდა უზრუნველყოფდეს ყველა მოსწავლისათვის ერთნაირად მაღალი დონის ცოდნის მიღების შესაძლებლობას. თუმცა, განათლების თვალსაზრისით, ცოდნის ამოღება „საბავშვო უნივერსიტეტის“ „ნორჩთა სკოლებში“ არის შესაძლებელი. თსუ ექვსივე ფაკულტეტზე შექმნილ ოცამდე „სკოლაში“ მოსწავლეებს ლექციებს უნივერსიტეტის პროფესორები და უფროსკურსელები უკითხავენ. შეგახსენებთ, რომ ლექციები მათთვის უფასოდ გარდება. უკვე არსებულ „ნორჩ ფიზიკოსთა“, „ნორჩ ქიმიკოსთა“, „ნორჩ ასტრონომთა“, „ნორჩ იურისტთა“ და სხვა „სკო-

ლებში“ გამართულ ლექციებზე დასწრების გარდა, მოსწავლეებს? – თავისი ინტერესის შესაბამისად, სხვადასხვა კლუბებში შეუძლიათ გაწევრიანება. დღეისათვის საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს „სადისკუსიო კლუბი“, რომელიც ორი წლის წინ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების ინიციატივით შეიქმნა. სკოლის მოსწავლეები აქ მათთვის

ყალიბებულ „ძეგლის მეგობართა“ კლუბში, კი აქცენტს დღეისათვის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კულტურის ძეგლების შესახებ მაქსიმალური ინფორმაციის მიღებაზე და მათ დაცვაზე გაკეთდება.

როგორც „თსუ – საბავშვო უნივერსიტეტის“ კოორდინატორი აცხადებს, იგი მაქსიმალურად მიესალმება სტუდენტების მიერ



საინტერესო თემების წამოწევას, პრემენტაციების გაკეთებას და დისკუსიის გამართვას სწავლობენ.

საინტერესოა, რომ სკოლის მოსწავლეებს ცოცხალი კიდევ ორ ახალ კლუბში გაწევრიანებაც შეუძლებათ. კერძოდ, მუსიკა და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის გეოგრაფიის მიმართულების სტუდენტების მიერ შექმნილ ეკოსისტემის კლუბში, ეკოლოგიასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე გამახვილდება ყურადღება. პუბლიკარული ფაკულტეტის ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულების სტუდენტების მიერ ჩამო-

განხორციელებულ სხვადასხვა ინიციატივას. ერთ-ერთი ამ სახის პროექტი „თსუ-ის დესპანა“ გახლავთ, რომელშიც თსუ სხვადასხვა ფაკულტეტის ექვსსამდე სტუდენტი იყო ჩართული. მისი მთავრი მიზანი სახელმწიფო უნივერსიტეტისა და „საბავშვო უნივერსიტეტის“ შესახებ სტუდენტების მიერ სხვადასხვა რეგიონის სკოლის მოსწავლეებამდე მაქსიმალური ინფორმაციის მიტანა გახლავთ, რის შედეგად „დესპანები“ ერთგვარი მეკავშირეები გახდნენ სკოლებსა და სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის.

ელექტრონული რესურსები – თსუ პროფესორებისა და სტუდენტებისთვის

პირველი გვერდი

2013 წლიდან, თსუ საბიბლიოთეკო ასოციაციის ხელშეწყობით, რომლის წევრად არის 2011 წლიდან, ჩართულია პროექტის – „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის“ მონაწილეთა კონსორციუმში, რაც უნივერსიტეტის საზოგადოების ელექტრონული რესურსების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.

2013 წლის განმავლობაში, თსუ-ს კომპიუტერულ ქსელში ჩართული კომპიუტერებიდან შესაძლებელია წვდომა შემდეგ ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე:

ელექტრონული ბაზების ჩამონათვალი, რომელიც თსუ ბიბლიოთეკის შუამდგომლობითაა შექმნილი, ასეთია: EBSCOHost (<http://search.ebsco.com>) – მომხმარებელს სთავაზობს მრავალ დაბაზებულ და პოპულარულ სრულტექსტიან მონაცემთა ბაზას ინფორმაციის წამყვანი მოწოდებლებისგან.

მონაცემთა ბაზები შეიცავს საბიბლიოთეკო და გეგმურ რეგორეზივებს, ასევე სასაქონლო პროფილი საზოგადოებრივი, აკადემიური, სამედიცინო, შერეული და სასკოლო ტიპის ბიბლიოთეკებისთვის.

ამ მონაცემთა ბაზით ხელმისაწვდომია, როგორც სამეცნიერო ლიტერატურის სრული გეგმურ ვერსია, ასევე ანოტაციები და მოკლე მიმოხილვა. მკითხველს ასევე შეუძლია მისთვის სასურველი ინფორმაცია ამოიჭლოს, შეინახოს ან გადააგზავნოს ელექტრონული ფოსტით. EBSCOHost-ს, აქვს ციფრების რეჟიმი, რაც მომხმარებელს მისთვის სასურველი სტატიის ციფრების საშუალებას აძლევს.

მარტის ბოლოს ჩართვება: Royal Society Journal Collection (<http://royalsocietypublishing.org>), რომელიც ძირითადად მოიცავს მუსგ და საბუნებისმეტყველო დარგებსა და ასევე ინჟინერიას;

New England Journal of Medicine (<http://www.nejm.org>) – სამედიცინო სფეროსთვისაა განკუთვნილი;

BioOne (<http://www.bioone.org>) საშუალებას აძლევს მკითხველს, გაეცნოს კვლევებს ბიოლოგიის, ეკოლოგიის და გარემოს დაცვის სფეროში;

Oxford Textbook of Medicine (<http://oxfordmedicine.com>) სთავაზობს მკითხველს 300-ზე მეტ წყაროს სამედიცინო სფეროში. ეს მნიშვნელოვანი ელექტრონული ბაზაა როგორც სტუდენტებისათვის, ასევე, ახალბედა და უკვე გამოცდილი ექიმებისა თუ კონსულტანტებისათვის;

Oxford Online Dictionaries (<http://oed.com>) ოქსფორდის ონლაინ ლექსიკონი 6 მილიონამდე სიტყვას შეიცავს, სადაც ასევე მოცემულია ინფორმაცია ამა თუ იმ სიტყვის ისტორიის, ეტიმოლოგიის, მისი განვითარების შესახებ;

OECD-Library (<http://www.oecd-ilibrary.org>) მოიცავს ისეთ თემებს, როგორც: სოფლის მეურნეობა, სასოფლო და რეგიონული განვითარება, ეკონომიკა, ვაჭრობა, ენერჯეტიკა, ფინანსები და ინვესტიცია, ბუნების დაცვა, მმართველობა, განათლება, მეცნიერება და ტექნოლოგია, სოციალური საკითხები, მიგრაცია, ჯანდაცვა, გრანსპორტი, ურბანული.

სტუდენტებს უკვე შეუძლიათ, გამოიყენონ Cambridge Journals Online (<http://journals.cambridge.org>), რომელიც მომხმარებელს სთავაზობს 300-ზე მეტ აკადემიურ ჟურნალს, იგი მოიცავს სტატიებს მეცნიერების სხვადასხვა დარგის უახლესი ინფორმაციით კვლევებისა და სამეცნიერო მიღწევების შესახებ.

მონაცემთა ბაზა LEXIS NEXIS განკუთვნილია იურისტებისათვის და წვდომა ყოველწლიურად ხორციელდება იურიდიული ფაკულტეტის შუამდგომლობით.

გარდა ამისა, თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის შუამდგომლობით შექმნილია და თსუ-ს ქსელში ჩართული კომპიუტერებიდან ხელმისაწვდომია შემდეგი ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზა: JSTOR (<http://www.jstor.org>), რომელიც მოიცავს

მულტიმედია-ლიტერატურას ხელოვნების დარგში (963 დასახელების სამეცნიერო ჟურნალი და ელექტრონული წიგნი), ბიზნესსა და ეკონომიკაში (1351 დასახელების სამეცნიერო ჟურნალი და ელექტრონული წიგნი), ისტორიაში (4066 დასახელების სამეცნიერო ჟურნალი და ელექტრონული წიგნი), კუმინტარულ დარგებში (4138 დასახელების სამეცნიერო ჟურნალი და ელექტრონული წიგნი), სამართალში (459 დასახელების სამეცნიერო ჟურნალი და ელექტრონული წიგნი), მედიცინასა და ჯანდაცვაში (378 დასახელების სამეცნიერო ჟურნალი და ელექტრონული წიგნი), მეცნიერებასა და მათემატიკაში (1736 დასახელების სამეცნიერო ჟურნალი და ელექტრონული წიგნი) და სოციალურ მეცნიერებებში (5987 დასახელების სამეცნიერო ჟურნალი და ელექტრონული წიგნი).

ასევე, ხელმისაწვდომია მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის ელექტრონული ბიბლიოთეკის ბაზა HINARI (Health Access to Research Initiative) (<http://www.who.int/hinari>), რომელიც მომხმარებელს სთავაზობს მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს კოლექციას ბიომედიცინისა და ჯანდაცვის ლიტერატურის სფეროში.

HINARI დაარსებულია 2000 წელს გაეროს ათასწლეულის სამიგზე ჯანდაცვის ქსელის ფარგლებში და წარმოადგენს ბიოსამედიცინო და მონათესავე სოციალური მეცნიერებების მნიშვნელოვანი ჟურნალების მოწოდებელს მსოფლიო ქვეყნების ინსტიტუტებისათვის.

დღეისათვის ბაზაში მოცემულია მსოფლიოს 110 საუკეთესო გამოცემული ბიბლიოთეკის, Blackwell, Elsevier Science, Springer Verlag, the Harcourt Worldwide STM Group, Wolters Kluwer International Health & Science და ა.შ. HINARI მოიცავს 11400 ელექტრონულ ჟურნალს 30 ენაზე და 18.500 ელექტრონულ წიგნს.

HINARI-ს მონაცემთა ბაზის სარგებლობისათვის საჭიროა სპეციალური საიდენტიფიკაციო სახელი და პაროლი, რომელსაც უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი აწვდის ყველა დაინტერესებულ მსურველს და მომხმარებელს შეუძლია ისარგებლოს ამ ბაზის რესურსებით სახლიდანაც.

ამასთან, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ინიციატივით, მიმდინარეობს მოლაპარაკება Thomson Reuters (<http://thomsonreuters.com>) კომპანიის რესურსების შესყიდვისათვის. Thomson Reuters დღეისათვის წარმოადგენს ინტელექტუალური ინფორმაციის წამყვან გლობალურ პროდუქტებს ბიზნესსა და პროფესიონალებისთვის და უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევების საინფორმაციო მხარდაჭერას.

Thomson Reuters-ს აქვს სხვადასხვა საინფორმაციო პლატფორმა, მათ შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია Web of Knowledge, რომელიც უზრუნველყოფს ონლაინ მომხმარებელს აკადემიურ დარგში. მისი საშუალებით ხელმისაწვდომია სხვადასხვა მონაცემთა ბაზები; მათ შორის ძალიან აქტუალური – ციფრების მარჯვენა-მეცნიერებებში და ასევე, იმპაქტ-ფაქტორიანი ჟურნალების ნუსხა, წლების მიხედვით. ეს ბაზა ასევე მოიცავს მსოფლიოში არსებული სხვადასხვა დარგისათვის მნიშვნელოვანი ჟურნალების პოლი-თემურ კოლექციას.

როგორც თსუ-ში აცხადებენ, ყველა ჩამოთვლილი ელექტრონული ბაზა ხელმისაწვდომია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის უნივერსიტეტის ქსელში ჩართული კომპიუტერებიდან.

კულტურა და სკორტი

სტუდენტური ბურნიო

2 თებერვალს სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთ სახეობაში – „SKI CROSS“ სკულენგური ჩემპიონატის პირველ ეტაპს ბაკურიანში უმასპინძლა. გურნიოში საქართველოს 20 აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებელი მონაწილეობდა. 70 სკულენგიდან ნახევარფინალისთვის 32 საუკეთესო შეირჩა, რომლებმაც პირველობისთვის ბრძოლა ფინალში გააგრძელეს. გურნიოს მეორე ეტაპი 9 მარგს ვულაურში გაიმართა. დასკვნით გურნიო 16 გოგონა და 16 ვაჟი იღებდა მონაწილეობას, აქედან 3 სკულენგი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი იყო: გივი სრესელი, ანანო გვეგიძე და თეონა მელიქიძე. უნივერსიტეტმა გამარჯვება გოგონებს შორის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის მესამე კურსის სკულენგმა თეონა მელიქიძემ მოიპოვა, ხოლო ვაჟებს შორის გამარჯვებული დიას უნივერსიტეტის სკულენგი დავით თვლიაშვილი გახდა. სკულენგური სამთო-სათხილამურო ჩემპიონატი საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია და საქართველოს სპორტის ფედერაცია ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა.

პირველ ადგილზე გასულ ახალგაზრდებს ჯილდოდ iPod-ები და სხვადასხვა საჩუქრები გადაეცა. ჩემპიონატის მთავარ მიზანს ახალგაზრდებს შორის ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა წარმოადგენდა.

საქველმოქმედო ღონისძიებები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალგაზრდა მსახიობის გიორგი ყორღანაშვილის დასახმარებლად საქველმოქმედო ღონისძიებები გაიმართა. 7 მარგს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში „თსუ-არგის“ კონცერტზე შემოსული თანხა გიორგი ყორღანაშვილის ანგარიშზე გადაირიცხა. ასევე, 18 მარგს გაიმართა საქველმოქმედო საღამო, სადაც თსუ თეატრალურმა დასმა „სხვენი“ წარმოადგინა რეჟისორ გიორგი გომურაშვილის სპექტაკლი „ეთაპაშობის სამანიშვილი“.

საქველმოქმედო ღონისძიებების ფარგლებში თსუში კიდევ რამდენიმე საღამო იგეგმება. 25 მარგს მარჯანიშვილის თეატრის მსახიობები წარმოადგენენ ლიგერატურულ დადგმას, ხოლო ქართული ესტრადის მსახიობები გამართავენ კონცერტს.

26 მარგს თსუ თეატრალური დასი „სხვენი“ ალბერტ კამუს ნაწარმოების მიხედვით დადგმულ სპექტაკლს „რეჟიჟერი მონაზონისთვის“ პრემიერას გამართავს. აღსანიშნავია, რომ სპექტაკლი თავად თეატრალური დასის სკულენგების მიერ არის დადგმული.

5 აპრილს ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „უნივერსიტეტი“, ქორეოგრაფიული ანსამბლი „უნივერსიტეტი“ და „თსუ გორდელა“, აგრეთვე საქველმოქმედო ღონისძიებების ფარგლებში, გამართავენ კონცერტს „ქართული სუნი“.

აღნიშნული ღონისძიებებიდან შემოსული თანხა ეტაპობრივად გადაირიცხება გიორგი ყორღანაშვილის ანგარიშზე.

პროექტის ჩემპიონატი გვიმლოცხობაში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სკულენგმა ლევან ჩიგინიძემ ვეროპის ჩემპიონატზე მშვილდოსნობაში მე-17 ადგილი დაიკავა. კონტინენტის ზამთრის ჩემპიონატი მშვილდოსნობაში პოლონეთში 27 თებერვალს დაიწყო და 2 მარგს დასკვნით ეტაპი გაიმართა. ლევან ჩიგინიძე თსუ იურიდიული ფაკულტეტის მე-2 კურსის სკულენგია. მართალია ის საპროფესიო საშუალებით ვერ მოხდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იგი დებიუტანტი იყო ჩემპიონატზე და ისეთი ღონის შუქიერებამ, როგორცაა ვეროპის ჩემპიონატი, მე-17 ადგილი ცუდი შედეგი არ არის.

თსუ სტუდენტები – საქართველოს იმიტირებულ სასამართლო პროცესში

თსუ სტუდენტებმა ტრადიციისამებრ წელსაც გაიმარჯვეს ფილიპ ჯისაჟის სახელობის საქართველოს საჯარო სამართლის იმიტირებულ სასამართლო პროცესის პროცესის პროცესულ რაუნდში

პირველი გვერდიანი

ჯიბრის საუკეთესო მომხსენებელად თსუ გუნდის წევრი ნიკა გიგაშვილი დასახელდა, რომელიც სამართალმცოდნეობის სპეციალობის საბაკალავრო პროგრამის სკულენგია. გუნდის შემადგენლობაში არიან ასევე: ნათია მოიძე – საქართველოს სამართლის სამაგისტრო პროგრამის სკულენგი, ელენე მებონია – სამართალმცოდნეობის სპეციალობის საბაკალავრო პროგრამის სკულენგი, საქართველოს სამართლის საბაკალავრო პროგრამის სკულენგები ანა რეხვიანი და ქეთევან ცანავა.

თსუ იურიდიული ფაკულტეტის საქართველოს სამართლის ინსტიტუტის მიერ საქართველოს საჯარო სამართლის იმიტირებულ სასამართლო პროცესებისთვის სკულენგების მოსამზადებლად სპეციალური კურსი 2010 წელს იქნა შემოღებული. კურსს თსუ სრული პროფესორი, სამართლის დოქტორი ქეთევან ხუციშვილი ხელმძღვანელობს. ფილიპ ჯისაჟის სახელობის საქართველოს საჯარო სამართლის იმიტირებულ სასამართლო პროცესში მონაწილეობისთვის ჯგუფს მწვრთნელის რანგში წელს ასევე საქართველოს სამართლის მიმართულების კურსდამთავრებული სოფო წაჭიძე დაეხმარა, რომელმაც თსუ სკულენგების გუნდთან მოსამზადებლად პერიოდში ძალზე ინტენსიურად იმუშავა.

როგორც თსუ რექტორის მოადგილე, თსუ იურიდიული ფაკულტეტის საქართველოს სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, იურიდიულ

მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი ლევან ალექსიძე აღნიშნავს: „ის ფაქტი, რომ 2013 წლის საქართველოს ეროვნულ შუამდგომლობის მალაღობის ღონისძიებაში თსუ სკულენგები კვლავაც მონაწილეობის მართლებით გამოიჩინეს, რაც ორგანიზატორებისა და მსაჯების მხრიდან აღინიშნა, თსუ იურიდიული ფაკულტეტის საქართველოს სამართლის მიმართულების მიერ შემუშავებული საქართველოს იმიტირებული პროცესების მოდულის წარმატებულობის დასტურია. იმიტირებული სასამართლო პროცესების მოდულის ამოქმედების მთავარი იდეა იურიდიული ფაკულტეტის სკულენგების საქართველოს იმიტირებულ პროცესში მონაწილეობის მისაღებად მაღალ დონეზე მომზადებაში მდგომარეობს“.

ლევან ალექსიძის შეფასებით, საქართველოს დარგში პრესტიჟული საქართველოს კონკურსები, როგორცაა ჯისაჟის სახელობის საქართველოს სამართლის იმიტირებული პროცესი (საერთაშორისო რანდი – ვაშინგონი), გელდერსის სახელობის საქართველოს სამართლის იმიტირებული პროცესი (საერთაშორისო რანდი – ჰაავა), სისხლის სამართლის საქართველოს პროცესი, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის იმიტირებული პროცესი, პიქტეს სახელობის კონკურსი საქართველოს კუმინგარულ სამართლის



თაღში თსუ სხვა, სკულენგებს ბევრ შესაძლებლობას აძლევს. კონკრეტულად: სამართლის მრავალ დარგში ცოდნის გაღრმავების, უცხოენოვან ლიტერატურასთან მუშაობის, იურისტისთვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოქვეყნების, კვლევითი საქმიანობის წარმოების და ანალიტიკური აზროვნების გაუმჯობესების, აშშ და ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან, ასევე ამ უნივერსიტეტების სკულენგებსა და პროფესორ-მასწავლებლებთან ურთიერთობის დამყარების საშუალებას.

აღსანიშნავია, რომ თსუ გუნდები სისტიმატურად იკავებენ საპროფესიო ადგილებს ან სხვადასხვა ნომინაციებში იმარჯვებენ. 2011 წელს თსუ გუნდი ჯისაჟის სახელობის იმიტირებულ პროცესში 500 გუნდიდან 25 საუკეთესოში დასახელდა. ამავდროულად გუნდის მიერ მომზადებული სარჩელი და შესაბამისი საუკეთესო წერით ნამუშევრებზე იქნა აღიარებული. უფრო დრე კი, კერძოდ 2009 წელს, სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა გიგანში გამართულ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის იმიტირებულ სასამართლო პროცესში საქართველოს წერით რანდში პირველი ადგილი დაიკავა.

თსუ ეკონომიკის საქართველოს სკოლის, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

პირველი გვერდიანი

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი დაარსდა 2011 წელს. მკვლევარების გუნდი დაკომპლექტებულია ISET-ის სამაგისტრო პროგრამის წარმომადგენელი კურსდამთავრებულიებით. ინსტიტუტის კვლევების ძირითადი ნაწილი წარმოადგენს საქართველოში მიმდინარე მოვლენების საფუძველზე ეკონომიკურ ანალიზს, რომელიც კომპლექსურ ეკონომიკურ მოვლენებსა და უახლეს კვლევით მეთოდებს ეყრდნობა. ამჟამად ცენტრში მიმდინარე კვლევითი მიმართულებებიდან აღსანიშნავია: გარდამავალი ეკონომიკა და განვითარება, საქართველოს ეკონომიკის ვაჭრობა და რეგიონული ინტეგრაცია, ენერჯეტიკის სექტორის ეკონომიკა, მაკროეკონომიკური პოლიტიკა, სოფლის მეურნეობის პოლიტიკა, ადამიანური რესურსების განვითარება.

გარდა მეტოლენიშნული დეგალორი და მრავალმხრივი მკვნიერული პროექტებისა, კვლევითი ინსტიტუტი ასევე ახორციელებს მცირე, ე.წ. „მსუბუქ“ პროექტებსაც, რომელთა მთავარი მიზანია ფართო საზოგადოებისთვის ეკონომიკური ცვლადების და მათი დინამიკის გასაგებები ერთი ახსნა. მაგალითად, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის ყველაზე ცნობილი პროექტია, ხაჭაპურის ინდექსი ეხმარება საზოგადოებას გაიგოს ინფლაციის არსი და თვალის აღწერის მის განვითარებას. ამგვარ „მსუბუქ“ პროექტებს ასევე მიეკუთვნება მომხმარებელთა ნდობის ინდექსი, ISET-ის ეკონომისტიკის პროგრამის და ყოველთვიური მაკროეკონომიკური მიმოხილვა. ეს პროექტები რეგულარულად ქვეყნდება ბუკლეთი გამომცემში Georgia Today, Financial, Investor. ge, ლიბერალი, საქართველოს ეკონომიკა.

ხაჭაპურის ინდექსი

ხაჭაპურის ინდექსი ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის ყველაზე პოპულარული პროექტია, რომელიც ინფლაციის მარტივი და გამჭვირვალე ინდიკატორია. ფასებზე დაკვირვება 2008 წლის აგვისტოდან დაიწყო თბილისში, შემდეგ კი თანდათან გაფართოვდა საქართველოს სხვა ქალაქებზე: ამჟამად ხაჭაპურის ინდექსი ითვლება არამხოლოდ დედაქალაქისთვის, არამედ თელავის, ქუთაისის და ბათუმისთვისაც.

ხაჭაპურის ინდექსის მეთოდოლოგია საქართველოს საეკონომიკური ფონდის წამყვან ეკონომისტ რობერტ ჩაიძეს ეკუთვნის. იდეა დაიბადა ჟურნალი „The Economist“-ის „Big Mac“-ის ინდექსისაგან, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ვალუტების მსყიდველობითი უნარის შესადარებლად. ხაჭაპურის ინდექსის კალათაში შედის სტანდარტული იმერული ხაჭაპურის დასამზადებლად საჭირო ინგრედიენტები, ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის ფასების გათვალისწინებით.

ინდექსებს ვადარებთ როგორც ქალაქებს შორის, ასევე ვაკვირდებით ცვლილებების დინამიკასაც და ვითვლით თუ რამდენი ხაჭაპურის გამოცხობა შეუძლია საშუალო ოჯახს საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, რაც მათი რეალური შემოსავლის ინდიკატორია.

მომხმარებელთა ნდობის ინდექსი

2012 წლის მაისიდან ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი ახორციელებს მომხმარებელთა ნდობის კვლევას საქართველოში. ეკონომიკაში მოლოდინების როლის მნიშვნელობა და გამოვლინება, მომხმარებელთა ნდობა ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი იარაღია ეკონომიკური ბუმისა თუ რეცესიის პროგნოზირებისას.



მომხმარებელთა ნდობის კვლევა ხდება ყოველთვიურად ევროკავშირის მეთოდოლოგიის გამოყენებით. პირველ ეტაპზე მიმდინარეობს შემოხვეული შერჩეული 400-მდე მოქალაქის გამოკითხვა. რესპოდენტებს სთხოვენ შეაფასონ როგორც პირადი, ასევე ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა სხვადასხვა ასპექტში, როგორცაა უმუშევრობა, ინფლაცია, დანაშაულები და ა.შ. კითხვები ითვალისწინებს როგორც არსებული მდგომარეობის, ასევე ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას. შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით, ISET ითვლის მომხმარებელთა ნდობის ინდექსსა და მის კომპონენტებს.

მშპ-ს პროგრამა

ეს ინდიკატორი წარმოადგენს მშპ-ს რეალური მრდის პროგნოზს მიმდინარე და მომავალი კვარტალებისთვის. ეკონომიკური მრდის სანდო პროგნოზი მნიშვნელოვანია როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორისათვის სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად, რადგან ოფიციალური მონაცემები ხელმისაწვდომი ხდება რამდენიმე თვის დაგვიანებით. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი მშპ-ს პროგნოზირების მსოფლიოში აპრობირებული დინამიკური მოდელი შეუქმნა ქართულ რეალობას და ამის საფუძველზე მიღებულ წინასწარ შეფასებებს ყოველთვიურად აწვდის საზოგადოებას.

ეკონომიკური მრდის შესაფასებლად მოდელი იყენებს 105 ეკონომიკურ ცვლადს, რომელთა გამოქვეყნებაც წინ უსწრებს მშპ-ს ოფიციალურ სტატისტიკას. მოცემული კვარტალისთვის ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის ეკონომიკური მრდის პირველი შეფასება კვარტალის დასრულებამდე 4-5 თვით ადრე ხელმისაწვდომია. ახალი მონაცემების საფუძველზე განახლებული პროგნოზი ქვეყნდება ყოველთვიურად ამ კვარტალის დასრულებამდე.

ყოველთვიური მაკროეკონომიკური მიმოხილვა

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ეკონომიკის ყოველთვიურ მიმოხილვაში მოკვლევა გამოცემული თვის განმავლობაში ქვეყანაში განვითარებული მთავარი ეკონომიკური მოვლენები. ანგარიშში თანმიმდევრულად განხილულია საქართველოს რეალური, მონეტარული, ფისკალური და სავაჭრო სექტორები, ისევე როგორც, მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენები. როგორც წესი, ანგარიშის ბოლოს ცხრილის სახით მოცემულია საქართველოს ძირითადი წლიური მაკროეკონომიკური მაჩვენებლები. თვის ეკონომიკური მიმოხილვა ძირითადად ეფუძნება საქართველოს ეროვნული ბანკის, სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და ფინანსთა სამინისტროს სტატისტიკურ მონაცემებს, კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზებსა და ინდექსებს.